ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 37 178

25/02/2016

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის „დ"–ქვეპუნქტის „დ.ა"–ქვეპუნქტის, „ე"–ქვეპუნქტის „ე.ე"–ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 თებერვლის №38 23 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობა (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევები) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) პრივატიზება განხორციელდეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.3.1. ნაგებობის დემონტაჟი და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.3.2. ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.3.3. ნაგებობის დემონტაჟის და როგორც ნაგებობის, ასევე მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 1 (ერთი) თვე. აღნიშნული 1 (ერთი) თვიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების დადებიდან.

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარი.

1.5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) ბიჯი განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10%–ს ოდენობით.

1.6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (1548 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.54.129) არსებული ნაგებობის (ყოფილი ბაღის შენობის ნანგრევების) ელექტრონულ აუქციონზე საგარანტიო თანხა განისაზღვროს მისი საწყისი საპრივატიზებო საფასურის 20%–ს ოდენობით.

1.7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი